



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის აგვისტოში საქართველოს რეალური მშპ-ის წლიური ზრდა 10.5%-მდე დაჩქარდა, წინა თვის 9.7%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2022 წლის პირველ 8 თვეში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 10.3%-ით გაიზარდა. აგვისტოში ზრდა დაფიქსირდა ტრანსპორტის, მშენებლობის, კომუნიკაციების, მასპინძლობის და ვაჭრობის, ხოლო შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების დარგებში. ჩვენი მიმდინარე პროგნოზით, საბაზისო სცენარში საქართველოს ეკონომიკის 9.2%-იანი ზრდა, ხოლო ალტერნატიულ სცენარში (რომელიც ეფუძნება საგარეო შემოდინებების მაღალი ზრდის გაგრძელებას წლის ბოლომდე) 10.6%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი.

**მიმდინარე ანგარიში:** სებ-ის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წლიურად 49.0%-ით შემცირდა და მშპ-ის 4.2% შეადგინა (მშპ-ის 10.6% იყო 2021 წლის მეორე კვარტალში). მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება ძირითადად მომსახურების ბალანსის (+3.4-ჯერ წ/წ, რაც განაპირობა ტურიზმის შემოსავლების სწრაფმა აღდგენამ, რომელმაც 2019 წლის მეორე კვარტლის 85.3% შეადგინა) და ტრასფერტების (+32.9% წ/წ, მშპ-ის 12.0%) მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა. რაც შეეხება საქონლით ვაჭრობის უარყოფით ბალანსს, ის წლიურად 28.1%-ით გაიზარდა 1.1 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 31.4%-ით, ხოლო იმპორტი 30.1%-ით გაიზარდა. ამასთან, 2022 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ძირითადი დაფინანსების წყარო წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო, რომელიც წლიურად 20.3%-ით გაიზარდა 284.3 მლნ აშშ დოლარამდე (მშპ-ის 4.7%). ჯამურად, 2022 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 8.2% შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი შემცირება 2021 წლის პირველი ნახევრის 11.5%-დან.

**საბანკო სექტორი:** კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 7.8%-ით გაიზარდა 2022 წლის ივლისში (+2.7% თ/თ), წინა თვის 6.3%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 43.2 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიური ზრდა აგვისტოში 15.3%-მდე შენედა (+0.8% თ/თ), ივლისის 16.3%-იანი ზრდის შემდეგ. წინა თვის მსგავსად, სესხების შენელების ძირითადი მიზეზი იყო კორპორატიული დაკრედიტების ზრდის შენელება 10.9%-მდე წინა თვის 13.2%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, საცალო დაკრედიტება წლიურად 19.4%-ით გაიზარდა, (+19.2% ივლისში); აქედან იპოთეკური სესხების პორტფელის წლიური ზრდა 14.9% იყო (+14.3% ივლისში). 2022 წლის აგვისტოში სესხების დოლარიზაცია მცირედით 46.2%-მდე გაიზარდა (-5.46პპ წ/წ და +0.42პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 2.0%-ს გაუტოლდა (-0.29პპ წ/წ და უცვლელი თ/თ).


სესხებისგან განსხვავებით, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად მნიშვნელოვნად 25.2%-ით გაიზარდა 41.8 მლრდ ლარამდე 2022 წლის აგვისტოში, წინა თვეში დაფიქსირებული 20.6%-იანი ზრდის შემდეგ (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ვალუტების მიხედვით, აგვისტოში საგრძობლად გაიზარდა როგორც ლარის, ისე უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა, რომელმაც შესაბამისად 23.9% (+18.9% წინა თვეში) და 26.1% (+21.6% წინა თვეში) შეადგინა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. ამასთან, აგვისტოში დეპოზიტების დოლარიზაცია 58.1%-მდე გაიზარდა (-2.02პპ წ/წ და +1.18პპ თ/თ).

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.4%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,015
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.5%	10.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.5%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

### საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სებ



# ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის 27 სექტემბერს 5-წლიანი 90.0 მლნ ლარის (31.8 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.4-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, რომელიც 2022 წლის აგვისტოში გაიმართა, 0.38733-ით შემცირდა და 9.296% შეადგინა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2022 წლის 4 ოქტომბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

მადიანობა	გამომშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი
6-თვე	180	60	120
1-წელი	205	90	280
2-წელი	660	240	1,220
5-წელი	773	270	3,216
10-წელი	75	225	1,371
<b>სულ</b>	<b>1,893</b>	<b>885</b>	<b>6,206</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2022 წლის აგვისტოს მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 4.95%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.85 (-0.34% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 93.82 (-0.74% წინა კვირასთან შედარებით), 10.90%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 78.71 ფასად (-3.18% წინა კვირასთან შედარებით), 8.83%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 85.81 (-1.11% წინა კვირასთან შედარებით), 7.36%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

#### ვერობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	85.81	7.36	347.04
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	78.71	8.83	512.09
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	100.85	4.95	77.75
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	99.66	12.47	712.08
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B+/B1	93.82	10.90	665.82
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B-/B1	96.12	9.48	564.94
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.52	6.67	246.17
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	97.80	12.97	787.32

#### ადგილობრივი ობლიგაციები


Georgia Real Estate	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	99.99	7.50	n/a
KTW	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	99.88	9.50	n/a
GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.90	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.49	6.75	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	97.35	8.90	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	14.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.96%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	28	14.31%	Oct-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.89%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



## აქციები


### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 19.88 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.19% წინა კვირასთან შედარებით და -1.34% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 518 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 19.20 - 21.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 105 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg


### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 16.68 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.11% წინა კვირასთან შედარებით და -5.33% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 241 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 16.00 - 17.46 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 77 ათასი აქცია შეადგინა .

წყარო: Bloomberg

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.19 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.77% წინა კვირასთან შედარებით და -10.55% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 124 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.85 - 6.69 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	19.88	977	62.7%	27.9%	19.2%	5.68x	4.37x	4.31x	1.27x	1.06x	0.91x
TBC	TBC	GBP	16.68	920	50.8%	15.0%	1.1%	4.83x	4.07x	3.74x	1.05x	0.83x	0.70x
Halyk Bank	HSBK	USD	10.00	2,727	-2.5%	-41.2%	-39.4%	2.56x	2.79x	3.02x	0.75x	0.65x	0.55x
Akbank	AKBNK	TRY	11.29	58,708	54.4%	111.8%	56.8%	4.68x	1.67x	2.82x	0.75x	0.68x	0.64x
Garanti	GARAN	TRY	19.43	81,606	59.4%	110.3%	72.4%	5.86x	2.67x	3.40x	0.99x	0.91x	0.73x
Isbank	ISCTR	TRY	7.52	33,840	86.7%	221.9%	132.4%	2.41x	0.99x	1.31x	0.84x	0.66x	0.56x
PKO	PKO	PLN	21.84	27,300	-46.3%	-48.3%	-51.4%	5.64x	6.69x	5.60x	0.73x	1.00x	0.82x
PEKAO	PEO	PLN	60.70	15,932	-47.1%	-41.1%	-50.2%	7.38x	10.22x	5.58x	0.67x	0.85x	0.76x
Millennium	MIL	PLN	3.33	4,042	-50.6%	-50.6%	-59.3%	na	4.04x	2.97x	0.61x	1.06x	0.72x
Mbank	MBK	PLN	200.40	8,494	-44.8%	-51.2%	-53.7%	na	3.80x	4.40x	0.62x	0.77x	0.70x
BRD	BRD	RON	11.10	7,736	-36.6%	-41.0%	-37.3%	5.89x	6.82x	6.44x	0.79x	1.11x	1.05x
Banca Transilvania	TLV	RON	16.70	105,402	-25.1%	-30.1%	-27.4%	na	na	na	1.16x	1.25x	1.18x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	13.97x	12.77x	0.65x	0.78x	0.75x
Komercni	KOMB	CZK	629.00	119,541	-26.8%	-29.0%	-32.7%	9.57x	8.40x	9.28x	0.98x	1.10x	1.07x
<b>საშუალო</b>								<b>5.75x</b>	<b>5.42x</b>	<b>5.05x</b>	<b>0.85x</b>	<b>0.91x</b>	<b>0.80x</b>
<b>მედიანა</b>								<b>5.68x</b>	<b>4.07x</b>	<b>4.31x</b>	<b>0.77x</b>	<b>0.88x</b>	<b>0.74x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.19	288	-0.2%	3.2%	-13.2%	1.75x	na	na	0.39x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.50	455	-8.1%	-6.4%	-7.0%	13.98x	na	na	0.95x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	25.78	52,602	44.0%	163.3%	94.9%	4.22x	3.27x	3.20x	0.99x	0.68x	0.62x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	21.65	407	-26.0%	-39.6%	-45.7%	2.15x	na	7.29x	0.57x	0.85x	0.79x
Eurazeo	RF	EUR	53.95	4,274	-29.8%	-33.6%	-29.8%	2.70x	na	na	0.67x	0.68x	0.64x
Carlyle Group	CG	USD	26.50	9,441	-43.3%	-44.0%	-51.7%	3.17x	6.43x	5.79x	1.78x	2.09x	2.11x
Wendel SE	MF	EUR	73.95	3,309	-20.8%	-38.3%	-29.8%	3.15x	7.11x	7.02x	1.24x	1.34x	1.18x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.40	1,548	-20.8%	-13.0%	-19.1%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.45	674	-6.6%	-4.3%	-16.5%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	3.78	674	-10.3%	5.9%	-9.8%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	10.70	740	-11.9%	-21.6%	-26.0%	4.14x	na	na	0.70x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.45	231	5.9%	1.8%	8.5%	1.88x	na	na	0.47x	na	na
<b>საშუალო</b>								<b>4.13x</b>	<b>5.60x</b>	<b>5.82x</b>	<b>0.86x</b>	<b>1.13x</b>	<b>1.07x</b>
<b>მედიანა</b>								<b>3.15x</b>	<b>6.43x</b>	<b>6.40x</b>	<b>0.70x</b>	<b>0.85x</b>	<b>0.79x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაზე.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge